ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1973804

ნომერი: AR1321223

თარიღი : 24.06.2015

გაცემის თარიღი : 25.06.2015

გაცნობის თარიღი : 25.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ძმები ორბელიანები , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ კანკავა პ/ნ 01011019421
- თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. N 1/3 ბ. 24

ორგანიზაცია:

- შპს სკოლა "ალბიონი" კოდი: 206217440

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1321223 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სამსახურის #801902 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას სკოლის ტერიტორიაზე ბავშვთა გასართობი ცენტრის დასაგეგმარებლად, გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში – საცხოვრებელ ზონა 6–ში, შერჩეული ფუნქციური სახეობის სამშენებლო განვითარება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამისთვის „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს სხდომაზე განსახილველად უნდა წარმოადგინოთ გენგეგმა საპროექტო და არსებული შენობების, ასევე საპროექტო ობიექტთან მისასვლელი სატრანსპორტო კავშირის ჩვენებით და საპროექტო მოცულობის ესკიზი არსებულ გარემოში.
ამასთან რადგან მშენებლობის განხორციელება იგეგმება სკოლის ტერიტორიაზე დამატებით წარმოსადგენი გაქვთ სკოლის დირექციის თანხმობა აღნიშნულის განხორციელების თაობაზე.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში განაცხადის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.
ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.